თბილისის დინამოელთა საწვრთნელი მატჩები

გუშინწინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა „ლოკომოტივის“ სტადიონზე საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“.

თამაში მიმდინარეობდა დინამოელთა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობით. ანგარიში 26–ე წუთზე გახსნა ქორიძემ. 10 წუთის მერე კუთხური ბურთის ჩამოწოდებისას ჭელიძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, მაგრამ შესვენების შემდეგ ძოძუაშვილმა შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა და თბილისელებმა გაიმარჯვეს–2:1.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: „დინამო“–გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი, მ.მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე: „დნეპრი“–კოლტუნი (სობეცკი), ტომაში, ნაიდა (გოლიკოვი), კრავჩუკი, ბოგდანოვი, შნეიდერმანი (ნარუსევი), სოლოვიოვი (რომანიუკი), პილიპჩუკი, იაკოვლევი, ხრისტიანი (შელესტი), მალკო.

თამაშს სჯიდა, ი. ბოჭორაძე (თბილისი).

თ. ჯობავა
„ლელო“ , 23. 03.1976 წ.